ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის, ქალბატონი ელენე დუმბაძის 2016 წლის 4 ოქტომბრის 10/17617 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითთმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, შედგა ჩემი საჯარო შეხვედრა ჩემი სამაჟორიტარო, სამგორის 6-13 ოლქის ამომრჩევლებთან.

შესვედრის ფარგლებში, წარვადგინე ანგარიში ჩემს მიერ 2015 წლის 1 ნოემბრიდან, 2016 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ.

ანგარიშის განხილვისას ვუპასუხე ასევე მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

დამატებით გაცნობებთ, რომ დაგეგმილი მაქვს, ასევე, მოსახლეობასთან შეხვედრების ჩატარება ეტაპობრივად დასახლებების მიხედვით, ანგარიშის გაცნობისა და სხვა ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

ინფორმაციის სახით, გიგზავნით საქმიანობის ანგარიშს.

<u>დანართი:</u> - 36 ფურცლად

პატივისცემით,

გულიკო ზუმბაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო
ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
შემოსულია რაოდენობა 37 ფურცელი

№ 10/17617 31.10.16 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ-ნ ე. დუმბაძეს

შესაბამისი რეაგირებისათვის.

გიორგი ალიბეგაშვილი

31.10.16 წ

№10/17617
31.10.16 წ

[illegible] ასევე მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

დამატებით გაცნობებთ, რომ დაგეგმილი მაქვს, ასევე, მოსახლეობასთან შეხვედრების ჩატარება ეტაპობრივად დასახლებების მიხედვით, ანგარიშის გაცნობისა და სხვა ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

ინფორმაციის სახით, გიგზავნით საქმიანობის ანგარიშს.

<u>დანართი:</u> - 36 ფურცლად

პატივისცემით,

გულიკო ზუმბაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლების რაოდენობა 37 ფურცელი

№ 10/17617 31.10.16 წ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარის

გულიკო ზუმბაძის

საქმიანობის ანგარიში 2015 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 1 ნოემბრამდე

ზოგადი ინფორმაცია

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრი სამგორის №6-13 საარჩევნო ოლქიდან.
- სამაჟორიტარო ტერიტორია: ლილო, ორხევი, აეროპორტის დასახლება, წინუბანი, ნასაგური, დიდი ლილო, პატარა ლილო, ვარკეთილის დასახლება.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების" წევრი 2016 წლის სექტემბრამდე.
- 2014 წლის ივლისიდან დღემდე - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარე.

ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში გულიკო ზუმბაძემ მონაწილეობა მიიღო:

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 სხდომაში. მოცემულ სხდომებზე საკრებულომ მიიღო 103 დადგენილება და 424 განკარგულება;

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 13 სხდომაში;

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის 27 სხდომაში. განხილული საკითხების რაოდენობა - 40.

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 10 სხდომაში. განხილული საკითხების რაოდენობა - 18.

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,რესპუბლიკელების" - 11 სხდომაში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის სხდომებში განხილული საკითხები:

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის 27 სხდომა. ჯამში სხდომებზე განხილული იქნა 40 საკითხი:

I. 19 ნოემბერი, 2015

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

  შედეგი: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს გადაეგზავნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის შენიშვნები:

  1. 03 02 დასუფთავების ღონისძიებები - ქვეპროგრამას უნდა დაემატოს დაახლოებით 23 მლნ. ლარი, დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მოწესრიგების მიზნით.

  საფუძველი:
  მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს, ჩატარდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის სხდომა. სხდომაზე მოისმინეს შპს ,,თბილსერვის ჯგუფის" მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ,,ქ.თბილისში, დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე არსებული ვითარების მოწესრიგების, შემდგომში მისი კონსერვაციისა და ახალი ალტერნატიული პროექტის შემუშავების შესახებ" ქ.თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №156 განკარგულებიდან გამომდინარე, დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე განხორციელებული და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

კომისიის სხდომას, საკრებულოს წევრებთან ერთად, ესწრებოდნენ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - გიორგი სოლომონია; შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს დირექტორი და მისი მოადგილე - გიორგი ბაგრატიონი (დირექტორი) და ლევან ჯღარკავა (დირექტორის პირველი მოადგილე); საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები - ირმა გურგულიანი (ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე), კობა ბახტურიძე (გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე), ნელი კორკოტაძე (სახელმწიფო ინსპექტორი), ალექსანდრე პაპუნაშვილი; თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- კახა ჩიქვინიძე; სამგორის რაიონის გამგებელი - მამუკა ჩოქური ; შპს „გამა"- ზურა მგალობლიშვილი; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი -ბექა ჯავახაძე და „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო"-ს ხელმძღვანელი - ნინო ჩხობაძე.

სხდომაზე, შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მეორე უჯრედის ნაწილის (სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის ფერდების საშუალოდ 10-14 მ სიმაღლემდე) გეომემბრანით გადახურვისა და სარეკულტივაციო სამუშაოების (მოდელირების შედეგების გათვალისწინებით), ასევე თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მეორე უჯრედზე (მის საბოლოოდ გადახურულ ნაწილზე) არსებულ სივრცეში წარმოქმნილი ბიოგაზის შეგროვების სისტემის, პირველი უჯრედის ბიოგაზის შეგროვების და გადამუშავების სისტემასთან მიერთების სამუშაოების (მოდელირების შედეგების გათვალისწინებით) სავარაუდო მთლიანი ღირებულება განისაზღვრა დაახლოებით 23 მლნ. ლარით, რაც ასახული უნდა ყოფილიყო 2016 წლის თბილისის ბიუჯეტში.

ზ/ა ღონისძიებების განხორციელების პროექტთან დაკავშირებით, არსებობს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დადებითი დასკვნა.

<u>თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტში ზ/ა თანხა (დაახლოებით 23 მლნ.ლარი) გათვალისწინებული არ არის, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია და ვთვლით, რომ მისი ასახვა აუცილებლად უნდა მოხდეს 2016 წლის თბილისის ბიუჯეტში.</u>

2. 01 02 02 გზების მშენებლობა და აღდგენა - პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს შიდა გზების მშენებლობა/აღდგენა განსაკუთრებით გარეუბნებში და თბილისს შემოერთებულ ტერიტორიებზე. საფუძველი: დედაქალაქისათვის შეუსაბამო გარემო და ინფრასტრუქტურული დისკომფორტი დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ამყოფებს გარეუბნების მაცხოვრებლებს.

3. 02 02 ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება- პრიორიტეტულ ქვეპროგრამებად უნდა განისაზღვროს შენობა-ნაგებობების გადახურვა და წყალგაყვანილობის სისტემის მოწესრიგება. საფუძველი: აღნიშნული პრობლემები ქმნის კორპუსების, საცხოვრებლების ავარიულობის ხარისხს, რაც გაცილებით ძვირად უჯდება, როგორც მოსახლეობას, ისე ბიუჯეტს.

4. 03 01 გამწვანების ღონისძიებები - მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია აღნიშნული მიმართულებით ხარჯების შემცირება. საფუძველი: თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015 – 2020.

5. 07 01 02 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბაგა-ბაღების აღმზრდელების შრომითი ანაზღაურების გაზრდა. საფუძველი: ბავშვთა გადაჭარბებული რაოდენობა, გაზრდილი პასუხისმგებლობა, არაადექვატური შრომითი ანაზღაურება;

6. 07 02 04 საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება - მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩაშლა. ასევე, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უკეთ ინფორმირების მიზნით კარგი იქნება საინფორმაციო ბუკლეტის (გზამკვლევის) ბეჭდვა, რომელშიც დეტალურად იქნება ასახული მოქალაქეებისათვის საჭირო ყველა სახის ინფორმაცია, მათ შორის: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, საქალაქო სამსახურების, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და რაიონული

გამგეობების მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, თითოეული უწყების კომპეტენციაში შემავალი უფლებამოსილებების ჩამონათვალი და ა.შ.

დღესდღეობით აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მერიის ოფიციალური ვებ-პორტალის მეშვეობით. ასევე მოქალაქის ინფორმირებულობას ადგილზე უზრუნველყოფენ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები, თუმცა ინფორმაციული ხასიათის ბუკლეტის საჭიროება არსებობს თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიას, სოციალურად დაუცველ, ხანდაზმულ და ა.შ. პირებს არ აქვთ ინტერნეტთან წვდომის საშუალება ან/და რიგი ობიექტური მიზეზის გამო ვერ ახერხებენ ადგილზე მისვლას. გზამკვლევები უნდა განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას როგორც მერიაში, ისე საკრებულოსა და რაიონულ გამგეობაში.

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გივი კუბლაშვილის, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი ბაგრატიონის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ირაკლი გვილავას, ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნოდარ ჭიჭინაძის, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნინო სულხანიშვილსა და ვაკის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე ნოდარ ტურძელაძის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხის განხილვა.

  შედეგი: ზ/ა თანამდებობის პირთა დანიშვნასთან დაკავშირებით კომისიამ მოამზადა დადებითი დასკვნა.

II. 26 ნოემბერი, 2015

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" საკრებულოს დადგენილების პროექტი (18.11.15, № 04/20927).

შედეგი: ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის დასკვნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების

შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

III. 10 დეკემბერი, 2015

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიაში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების განხილვა (02.12.15, № 01/21783; 15.10.15, #18679; 24.07.15, #13912; 10.09.15, #16352; 27.08.2015, #14923).

  შედეგი: კომისიამ იმსჯელა და განცხადებებთან დაკავშირებით მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება. ინფორმაცია წერილობითი სახით გადაეგზავნათ განმცხადებლებსაც.

- ინფორმაციის მოსმენა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ მომზადებული შუალედური ანგარიშის შესახებ.

  შედეგი: კომისიამ ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

IV. 25 დეკემბერი, 2015

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის # 3-5 დადგენილებაში ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის განხილვა.

  შედეგი: ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტზე 2015 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე იმჯელა და გადაწყვეტილება მიიღო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, შედეგად შესაბამისი ცვლილება შევიდა კომისიის დებულებაში.

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

შედეგი: კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შემდგომი რეაგირების მიზნით, დასკვნის სახით გადაეგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

V. 28 დეკემბერი, 2015

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის №4-14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის განხილვა.

შედეგი: დადგენილების პროექტზე მომზადდა კომისიის დადებითი დასკვნა.

VI. 26 იანვარი, 2016 წელი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიასა და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას შორის 2015 წლის 8 ივლისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ინფორმაციის მოსმენა თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებების შესახებ:

- ინფორმაციის მოსმენა მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირების წარმომადგენლებისაგან.

- ინფორმაციის მოსმენა ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფესიული კავშირების წარმომადგენლებისაგან.

შედეგი: მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მეტროსა და ავტობუსებში დასაქმებულ პირთა წინაშე არსებული პრობლემების მოგვარების მიზნით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიამ შესაბამისი რეკომენდაციები გადაუგზავნა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს და თბილისის სატრანსპორტო კომპანიას.

VII. 28 იანვარი, 2016 წელი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიასა და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას შორის 2015 წლის 8 ივლისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში,

ინფორმაციის მოსმენა საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებების შესახებ.

შედეგი: კომისიამ ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

VIII. 18 თებერვალი, 2016 წელი

- მოქალაქე მარინე დემურიშვილის განცხადებების განხილვა (14.12.15 - №22536 და № 22537; 12.01.16 - № 422).

  შედეგი: სხდომაში მონაწილე სტრუქტურებს ეთხოვათ გმირ კურსანტთა ქუჩა №1-ში (ყოფილი 22) არსებული ვითარების ობიექტური შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

  კომისიის ძალისხმევით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ განმცხადებლებს ჩამოაწერა ელექტროენერგიის დავალიანება 864,529 ლარის ოდენობით.

- 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის №1740 განკარგულებით დამტკიცებული ,,სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2016 წლის სამოქმედო გეგმა" ფარგლებში, თბილისის მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ.

  შედეგი: მოწონებულ იქნა 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის №1740 განკარგულებით დამტკიცებული ,,სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2016 წლის სამოქმედო გეგმა" ფარგლებში, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის მიერ შემუშავებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სამოქმედო გეგმის ძირითადი პარამეტრები და მიეცეს შესაბამისი მსვლელობა.

IX. 26 თებერვალი, 2016 წელი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (№04/3283).

შედეგი: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გადაეგზავნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის დასკვნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (№04/3283) პროექტთან დაკავშირებით.

X. 22 მარტი, 2016 წელი

სათანადო საცხოვრებლის უფლების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის (14.01.16, №06/699) განხილვა.

შედეგი: შესაბამისი შუამდგომლობები გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

XI. 29 მარტი, 2016 წელი

მოქალაქე ეკა გულუას განცხადების (5496/ 22.03.16) განხილვა სარაჯიშვილის ქ. №1-ის მიმდებარედ მშენებარე 24- სართულიანი შენობის კოეფიციენტისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის თაობაზე.

შედეგი: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის და გარემოს დაცვის კომისიების ერთობლივი შუამდგომლობა გადაეგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

XII. 5 აპრილი, 2016 წელი

- ორხევის დასახლება, ჩანტლაძის 4/2, ყოფილი ავტობაზა „ტურისტის“ შენობაში მცხოვრები დევნილი და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების განცხადების (6190/31.03.16) განხილვა.

  შედეგი: სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ავტობაზა „ტურისტის“ შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლისა და ხელახალი

ექსპერტიზის მიზნით, შესაბამისი შუამდგომლობა იქნა გადაგზავნილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში.

შედეგად, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" 16.05.16 № 002739616 დასკვნის თანახმად, ორხევის დასახლებაში, ჩანტლაძის ქ. №4/2-ში მდებარე, ავტობაზა ,,ტურისტის" შენობის აღდგენა-გამაგრება ეკონომიურობის თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი და ექვემდებარება დემონტაჟს.

ამ ეტაპზე, მიმდინარეობს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სახით, ინტენსიური კომუნიკაცია კომისიასა და სამინისტროს შორის შენობაში მცხოვრები დევნილების ალტერნატიულ ფართში გადაყვანის და განთავსების მიზნით.

- შპს „თბილისის კარდიოლოგიური საავადმყოფოს" დირექტორის თემურ შენგელიას განცხადებების (07/5294; 07/4992) განხილვა.

შედეგი: შესაბამისი შუამდგომლობები გადაიგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და საქართველოს ეკონომიკისა მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში".

XIII. 13 მაისი, 2016 წელი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" (04/8669).

შედეგი: კომისიის გადაწყვეტილება, შემდგომი რეაგირების მიზნით, დასკვნის სახით, გადაეგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს. მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, თავმჯდომარეს კვლავ ეთხოვა საკითხის დაჩქარებული წესით განხილვა.

XIV. 20 მაისი, 2016 წელი

თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების პრეზენტაცია.

შედეგი: მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკითხთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნისა და ახლო მომავალში შეკრებასთან დაკავშირებით.

XV. 2 ივნისი, 2016 წელი

თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონთან დაკავშირებით ტენდერის საფუძველზე დაგეგმილი ღონისძიებები და მათი შესაბამისობა საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

შედეგი: კომისიამ გადაწყვიტა, გაიმართოს დამატებითი შეხვედრა შეხვედრა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის, ლილოს ნაგავსაყრელ პოლიგონზე სამუშაოების განმახორციელებელი კომპანიის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და შპს „თბილსერვის ჯგუფის“ შემადგენლობით.

კომისიის ძალისხმევით და სამუშაო შეხვერდებზე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, სატენდერო პირობებში არსებული ჩანაწერი ნაგავსაყრელზე რადიოაქტიური და ბირთვული ნარჩენების განსათავსებლად შენობის მოწყობის აუცილებლობაზე, კომპეტენტური მხარეების გადაწყვეტილებით, იქნა ამოღებული.

XVI. 22 ივნისი, 2016 წელი

- ინფორმაციის მოსმენა ორხევის დასახლებაში, ჩანტლაძის ქ. №4/2-ში მდებარე, ავტობაზა ტურისტის შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) და შენობაში მცხოვრები მოსახლეობის განსახლების შესახებ (შენობაში მცხოვრები მოსახლეობის განცხადება №6190).

  შედეგი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს განცხადებით, აგვსიტოს თვეში მოხდება შენობაში მცხოვრები დევნილი ოჯახების განსახლება.

არადევნილ მოქალაქეებთან დაკავშირებით, მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ კომისია განმეორებით მიმართავს სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს", რის საფუძველზეც, დაიწყება მაცხოვრებლების ინდივიდუალური შესწავლა მათი შემდგომი განსახლების მიზნით.

- დადგენილების პროექტი ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის ინიციატივა).

შედეგი: ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის ინიციატივა ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, გადაეგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

XVII. 28 ივნისი, 2016 წელი

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემის შესახებ (მათ შორის: ნასაგურის წმინდა გიორგის ეკლესიის მაგალითზე).

  შედეგი: მიღებული იქნა გადაწყვეტილება, სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით. <u>საბოლოოდ, სამუშაო ჯგუფის ერთობლივი მუშაობის შედეგად, ნასაგურის წმ.გიორგის სახელობის ეკლესია რეგისტრირებული იქნა საჯარო რეესტრში, რითიც შეიქმნა პრეცენდენტი მსგავსი პრობლემის მქონე ეკლესიების პრობლემის მოგვარების მიმართულებით.</u>

- მოქალაქე ლიზა აშიგოვას განცხადებების (№6286; №6287) განხილვა.

  შედეგი: მოქალაქეს განემარტა, რომ ვინაიდან სახეზეა კერძო სამართლებრივი დავა, საქმეზე უნდა იმსჯელოს საერთო სასამართლომ დადგენილი წესის მიხედვით.

- დადგენილების პროექტი ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის ინიციატივა), გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით.

- შედეგი: ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის ინიციატივა ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, გადაეგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

XVIII. 1 ივლისი, 2016 წელი

- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ანგარიშის მოსმენა.

  შედეგი: ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ანგარიში. ასევე, კომისიამ გადაწყვიტა, რომ ადგილზე მოხდება ააიპ „ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის“ მონახულება და ბენეფიციარებთან გასაუბრება.

- დალი მაზმიშვილის წიგნის - ,,იმედით ძლეული უიმედობა“ დაფინანსებასთან დაკავშირებით, კომისიის რეკომენდაციის გაცემაზე თანხმობის საკითხის განხილვა (28.06.16, №11908).

  შედეგი: დალი მაზმიშვილის წიგნის - ,,იმედით ძლეული უიმედობა“ დაფინანსებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის რეკომენდაცია გადაეგზავნა ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრს“. რეკომენდაციის საფუძველზე, ცენტრის თანადაფინანსებით დაიბეჭდა წიგნი, ხოლო მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა წიგნის პრეზენტაცია.

XIX. 7 ივლისი, 2016 წელი

- ქიზიყის ქუჩა №33-ში მდებარე შენობა-ნაგებობებისა და მათში კანონიერი უფლების გარეშე მცხოვრებ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

შედეგი: ქონების განკარგვის კომისიის სხდომის მოწვევა/ჩატარების თხოვნით კომისიის შუამდგომლობა ორჯერ გადაეგზავნა საქართველოს თავდაცვის მინისტრს.

- 2016 წლის განმავლობაში ქიზიყის ქუჩაზე დაგეგმილი/დასაგეგმი ინფრასტრუქტურული პროექტების (მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების) შესახებ.

  შედეგი: კომისიამ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერიდან" გამოითხოვა ინფორმაცია, თუ არა სახის სამუშაოები უნდა განახორციელოს კომპანიამ ქიზიყის ქუჩაზე და რა ვადაში დასრულდება აღნიშნული სამუშაოები. დღეის მდგომარეობით, გზის მოცემული მონაკვეთი დასრულებულია და გზა კაპიტალურად არის დაგებული.

XX. 14 ივლისი, 2016 წელი

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის საქმიანობის 6 თვის ანგარიშის მოსმენა.

  შედეგი: კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვა კომისიის საქმიანობის პრიორიტეტების შესახებ.

  შედეგი: კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე, მათ მიერ დასმულ პრობლემურ საკითხებზე დაიგეგმება კომისიის მომდევნო სხდომები.

- ინფორმაციის მოსმენა მოქალაქე მარინე ქოჩლაძის განცხადებასთან (01.07.16, 12249) დაკავშირებით, 14 ივლისს, 14.00 საათზე, კომისიის მიერ დაგეგმილი სამუშაო შეხვედრის შესახებ.

  შედეგი: კომისიამ შესაბამისი ინფორმაცია გამოითხოვა მერიის სამსახურებიდან, საკითხის უკეთ შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით. აქვე, სხდომამდე, კომისიის თავმჯდომარე, ადგილზე გაეცნო ვითარებას და ნაბალადევის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, მოინახულა ტერიტორია, რომლის შესახებაც საუბარი იყო განცხადებაში.

XXI. 21 ივლისი, 2016 წელი

- 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების (დავით გურგენიძის, დავით ბორძიკულის, ნანა ქემოკლიძის, ნანი კრიჭაშვილის, ზაზა ჯელაძის) 08.07.16 №12805 განცხადების განხილვა.

  შედეგი: კომისიის მიერ მომზადდა და შემდგომი რეაგირებისათვის საკრებულოს თავმჯდომარეს გადაეგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ".

- მოქალაქე გიორგი დარბაისელის (21.06.16, №11351) განცხადების განხილვა, მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ლეგალიზაციის საკითხზე.

  შედეგი: ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიამ განმცხადებელთა დაკვშირებით, შუამდგომლობით მიმართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას.

XXII. 28 ივლისი, 2016 წელი

თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის პროექტის პრეზენტაცია.

შედეგი: კომისიამ ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

XVIII. 02 აგვისტო, 2016 წელი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" (04/14139 29.07.16 წ.).

შედეგი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გადაეგზავნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის დასკვნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის

დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის №32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (№04/14139 29.07.2016) პროექტთან დაკავშირებით.

XXIV. 22 სექტემბერი, 2016 წელი

- ორგანიზაცია ,,უმუშევართა კავშირი დასაქმებისათვის" 15.09.16 №07/16618 განცხადების განხილვა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირთა ბინის ქირით უზრუნველყოფის შესახებ.

  შედეგი: კომისიამ იმსჯელა განცხადებაში მითითებულ გარემოებებზე და მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ საკითხზე კომისია იმსჯელებს დამატებით, გამგეობების წარმომადგენლებთან ერთად.

- ა.ა.ი.პ ,,კონსტიტუციის 42-ე მუხლის" 15.09.16 №07/16568 განცხადების განხილვა 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში სტიქიით მიყენებული ზიანის აღმოფხვრისათვის მობილიზებული თანხებისა და რესურსების ხარჯვის პროცესის მონიტორინგის პროექტთან დაკავშირებით.

  შედეგი: კომისიამ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, ინიციატივა გადაუგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტოს".

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის 2016 წლის 21 ივლისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ინიცირებული პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

  შედეგი: კომისიამ დადგენილების პროექტის დაჩქარების მიზნით, განმეორებითი წერილობითი თხოვნა გადაუგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

XXV. 13 ოქტომბერი, 2016 წელი

ა.ა.ი.პ ,,კონსტიტუციის 42-ე მუხლის" 15.09.16 №07/16568 განცხადების განხილვა 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში სტიქიით მიყენებული ზიანის აღმოფხვრისათვის მობილიზებული თანხებისა და რესურსების ხარჯვის პროცესის მონიტორინგის პროექტთან დაკავშირებით.

შედეგი: ინიციატივა შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

XXVI. 20 ოქტომბერი, 2016 წელი

შპს ,,დაგი"-ს მიერ თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

შედეგი: კომისიამ ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

- ❖ ინფორმაცია საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებისა და ინიცირების შესახებ:

- ➢ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ". მოცემული დადგენილების პროექტზე საკრებულომ იმსჯელა და დაამტკიცა 2015 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე.

ინიცირებული პროექტის მიხედვით, კომისიის დებულებას დაემატა შემდეგი შინაარსის პუნქტი - ,,3.კომისია ხელს უწყობს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე გენდერული თანასწორობის განხორციელებას, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საკრებულოს რეგლამენტით, ამ დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში".

- დადგენილების პროექტი ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" დამტკიცების შესახებ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (01.07.16, #10/12260). ინიცირებული პროექტის მიხედვით, ,,XV თავი. გენდერული თანასწორობის საბჭო: 1. საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", გენდერული თანასწორეობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ქმნის ,,გენდერული თანასწორობის საბჭოს" გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად. 2. გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობა განისაზღვრება ,,გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით", რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო".

- დადგენილების პროექტი ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (22.09.16, №10/13685).

  დადგენილების პროექტის მიხედვით, დადგენილების მე-3 მუხლის მეორე პუნქტს ემატება ,,დ" ქვეპუნქტი - ,,IV ჯგუფი - ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში/სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" კანონით გათვალისწინებული თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის მოსარგებლეები (შემდგომში - მოსარგებლე), რომლებსაც მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების გარეშე, უდასტურდებათ მიწის ნაკვეთების ფაქტობრივად ფლობის ფაქტი და კანონის ამოქმედების დროისათვის აკმაყოფილებდნენ ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს. კანონის ამოქმედებამდე მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად ფლობის ფაქტი დასტურდება ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში/სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის დასკვნით".

- ა.ა.ი.პ ,,კონსტიტუციის 42-ე მუხლის" 15.09.16 №07/16568 ინიციატივა ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის,

უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე კომისიამ შემდგომი რეაგირებისა და დადგენილი წესით განხილვის მიზნით, გადაუგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

დადგენილების პროექტის მიხედვით, ,,მუხლი 5 (1) დაზარალებულ პირთა ავტოფარეხის/მიწის დანგრევის/დაზიანებისათვის ფულადი დახმარების გაცემის წესი.
ა) იმ პირებს, რომლებსაც დაენგრათ მათ საკუთრებაში არსებული ავტოფარეხები/მიწა,მიეცეთ შესაბამისი რაიონის გამგეობის მიერ მათი ქონების საბაზრო ღირებულების შესაბამისი ანაზღაურება. ბ)იმ პირებს,რომლებსაც დაუზიანდათ მათ საკუთრებაში არსებული ავტოფარეხები/მიწა,რომელიც რეაბილიტაციას ექვემდებარება,მიეცეთ შესაბამისი რაიონის გამგეობის მიერ მათი ქონების რეაბილიტაციისთვის საჭირო ოდენობის ანაზღაურება. გ) ქონების დაზიანების ხარისხს და საბაზრო ღირებულებას ადგენს შემფასებელი - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“.

ინფორმაცია ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ:

ამომრჩეველთა მიღება მაჟორიტარის ოფისში:

(2015წ. ნოემბერი -2016წ. ოქტომბრის ჩათვლით)

- მიღების დღე - ყოველი კვირის ოთხშაბათი;
- მაჟორიტარი დეპუტატის ოფისმა მიიღო - 466 მოქალაქე;
- დეპუტატს განცხადებით მიმართა - 219 მოქალაქემ;
- მაჟორიტარი დეპუტატი პირადად შეხვდა - 300 მოქალაქეს;
- დეპუტატის გასვლითი შეხვედრები მოეწყო - 95 მისამართზე;
- მაჟორიტარების ოფისის თანამშრომლების ადგილზე გასვლა მოხდა - 85 მისამართზე;
- სატელეფონო კონსულტაცია გაეწია -1050-მდე მოქალაქეს.

მოქალაქეთა მიღება თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში:

- კომისიაში შემოსულია 384 განცხადება (მათ შორის: 20 კოლექტიური განცხადება). აქედან:

44 განცხადება - თვითნებურად დაკავებული ფართების დაკანონების თხოვნით;
41 განცხადება - ერთჯერადი ფულადი დახმარების აღმოჩენის თხოვნით;
38 განცხადება - ცალკეულ უწყებებში დასაქმების თხოვნით;
49 განცხადება - ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თხოვნით;
27 განცხადება - სამართლებრივ დავებზე;
26 განცხადება - საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის თხოვნით;
16 განცხადება - სამშენებლო დავების მოგვარების თხოვნით;
11 განცხადება - ჯანდაცვის საკითხებზე;
9 განცხადება - სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ან არასწორად მინიჭებული სარეიტინგო ქულების გადამოწმების თხოვნით;
8 განცხადება - შრომით დავებზე;
7 განცხადება - ბინის ქირით უზრუნველყოფის თხოვნით;
7 განცხადება - 2-15 წლის 13-14 ივნისის სტიქიის საკითხებზე;
3 განცხადება - ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაკისრებულ ჯარიმებზე;
სხვა.

- სატელეფონო კომუნიკაცია შედგა და კონსულტაცია გაეწია - დაახლოებით 840 მოქალაქეს;
- პირადი შეხვედრა - 120 მოქალაქე.

თითოეული განცხადების შინაარსის გათვალისწინებით, კომისიის მიერ განხორციელებული იქნა შემდეგი ღონისძიება:

1. განცხადების საფუძველზე კომისიის შუამდგომლობა გადაიგზავნა კომპეტენტურ ორგანოში;
2. განმცხადებელს გაესაუბრა კომისიის თავმჯდომარე და განუმარტა საკრებულოს კომპეტენცია საკითხთან მიმართებაში, აღმოუჩინა იურიდიული დახმარება;
3. განმცხადებელს სამდივნოს თანამშრომლებმა გაუწიეს კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია;

4. განცხადების სპეციფიკიდან გამომდინარე (ხშირ შემთხვევაში სამშენებლო ან/და სამეზობლო დავა), მითითებული ფაქტების დეტალურად გადამოწმებისა და ადგილზე შესწავლის მიზნით, კომისიის თავმჯდომარე ან/და სამდივნოს თანამშრომლები ადგილზე გაეცნენ არსებულ ვითარებას.

57 შეთხვევაში, კომისიამ სხვადასხვა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, მიმართა კომპეტენტურ უწყებებს ინიციატივით და საჯარო ინფორმაციის მოწოდების თხოვნით.

კომისიის შუამდგომლობებიდან და ინიციატივებიდან განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს:

- ფეხით მოსიარულეთა უფლებების დაცვის მიზნით, კომისიამ შესაბამისი შუამდგომლობით მიმართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს და ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ვარკეთილში, ჯავახეთისა და სუხიშვილის ქუჩების კვეთაზე დამონტაჟდა შუქნიშანი. ასევე, ჭონქაძის ქუჩაზე, მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, განთავსდა საგზაო მოძრაობის ამკრძალავი ნიშნები.

- მოქალაქე მარინე დემურიშვილის განცხადების საფუძველზე, კომისიის მიერ მომზადდა შესაბამისი შუამდგომლობა, ჩატარდა კომისიის სხდომა, შედეგად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ განმცხადებელს და გლდანში, გმირ კურსანტთა ქუჩაზე მცხოვრებ 1000-მდე ოჯახს ჩამოაწერა ელექტრო ენერგიის დავალიანება 864,529 ლარის ოდენობით.

- კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე ააიპ ,,კულტურული ღონისძიებების ცენტრმა" დააფინანსა დალი მაზმიშვილის წიგნის ,,იმედით ძლეული უიმედობა" დასტამბვა. წიგნი ეძღვნება 1990 და 2008 წლებში სამაჩაბლოდან დევნილ მოსახლეობას.

ინფორმაცია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ:

1. თანამშრომლობა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან:

   ✓ სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის წევრი.

- ✓ საქმიანობის მიზანი: დოკუმენტის - „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია, 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმა“ - შემუშავება.

- ✓ 2016 წლის სამუშაო გეგმის შემუშავება ადგილობრივი თვითთმართველობის ფარგლებში.

2. **თანამშრომლობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან:**

- სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების რეგულარული მონაწილეობა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის მიერ ორგანიზებულ სხდომებში.
- დეპუტატის მონაწილეობა სახალხო დამცველის ოფისის მიერ ორგანიზებულ ან თანამონაწილეობით განხორციელებულ შეხვედრებსა და კონფერენციებში.

3. **თანამშრომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან:**

- სამუშაო შეხვედრები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან დავით ნარმანიასთან ცალკეულ პრობლემატური საკითხების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით.

- მონაწილეობა თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ან მერიის მიერ ინიცირებულ/დაგეგმილ ღონისძიებებში.

- სამუშაო შეხვედრა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელობასთან, სამაჟორიტარო ოლქში მუნიციპალურ ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან დაკავშირებით.

- შეხვედრები თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბაგა/ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელობასთან სკოლამდელ აღზრდის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

- შეხვედრები თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქაალქო სამსახურის უფროსთან დედაქალაქში დადეგმილი გამწვანებით ღონისძიებებთან დაკავშირებით.

o შეხვედრები თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელთან.

4. თანამშრომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობასთან:

o სამუშაო შეხვედრები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობასთან სამაჟორიტარო ოლქის საკითხების განხილვისა და პრობლემების მოგვარების მიზნით.

მნიშვნელოვანი საკითხები: ინფრასტრუქტურა, სოციალური დახმარებები, სპორტული და კულტურული ღონისძიებები და სხვა.

5. თანამშრომლობა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებასთან:

o პროფესიული კავშირების წარმომადგენლების და კომისიის თავმჯდომარის რეგულარული შეხვედრები ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, გაერთიანების მონაწილეობა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის მიერ ორგანიზებულ სხდომებში ერთობლივ დაინტერესებაში შემავალ საკითხებზე.

➢ სხვა სახის ინფორმაცია:

ინიციატივები/ღონისძიებები:

- კომისიის ინიციატივით, მიმდინარე წლის 2 თებერვალს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის, ქეთევან ციხელაშვილის მოსმენა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის მიერ მომზადებული და დამტკიცებული ,,სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2015-2020 წწ სამოქმედო გეგმის" პრეზენტაცია. შედეგად, კომისიამ მოამზადა და გადაუგზავნა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს ,,სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის" ფარგლებში შემუშავებული ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის

სამოქმედო გეგმა. გეგმა შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

ზ/ა სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 2016 წლის 23 მაისს, სასტუმრო „თბილისი მერიოტში", აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგი „გენდერული თანასწორობა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა".

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიასა და სსიპ „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას" შორის 2016 წლის 16 თებერვალს, გაფორმდა თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი, დედაქალაქში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების მიზნით;

- კომისიის ინიციატივით, 2016 წლის 23-24 თებერვალს, ბორჯომში, ქალთა საინფორმაციო ცენტრის თანადგომით, კომისიის წევრებსა და სამდივნოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ 2 დღიანი ტრენინგი „გენდერული სამართლიანობის ხელშეწყობა ქალთა პოლიტიკური თანამონაწილეობის ხელშეწყობის გზით";

- მიმდინარე წლის 9 მარტს, კომისიის ინიციატივით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა შეხვედრა „ქალები დედაქალაქის თვითმმართველობაში". შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს 1998 -2014 წწ. მოწვევის საკრებულოს ქალმა დეპუტატებმა.

  შეხვედრის ფარგლებში, გაიმართა პრეზენტაცია „თბილისის საკრებულო გენდერულ ჭრილში, 1998 -2014 წწ. მოწვევების მიხედვით".

საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა:

- შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში, გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის მიერ (UNECE) ორგანიზებული 77 - ე სესია, სადაც მოსმენილი და განხილული იქნა წევრი ქვეყნების საბინაო მეურნეობისა და მიწის მართვის სტრატეგია 2014-2020 წლებისათვის - 13-15 სექტემბერი - 2016 წელი, ჟენევა, შვეიცარია;

- გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის (UNECE) მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენცია (მინისტერიალი) - „გარემო ევროპისათვის“ – 8-10 ივნისი, 2016 წელი, ბათუმი.

- გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის (UNECE) მიერ ორგანიზებული მიწის მართვისა და საბინაო კომიტეტის 76-ე სესია - 14-15 დეკემბერი, 2015 წელი, ჟენევა, შვეიცარია.

➢ შეხვედრები და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

❖ პანკისის ხეობაში სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის გასვლითი სხდომა - 22 სექტემბრი, 2016 წელი;

❖ პროექტის „მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში გამართული ღონისძიება „ხალხთა მეგობრობის ისტორიები“ – 26 სექტემბერი, 2016 წელი;

❖ თბილისში MAN -ის 10 ახალი ავტობუსის პრეზენტაცია - 30 სექტემბერი, 2016 წელი;

❖ მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალის საზეიმო გახსნა - 18 2016 წელი;

❖ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 30 აგვისტო, 2016 წელი;

❖ არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაბიჯ-ნაბიჯ, Step by Step“ მიერ ორგანიზებული კულტურულ შემოქმედებითი ღონისძიება შშმ პირთა მონაწილეობით „დაიცავი ჩემი უფლებები“ - 16 ივლისი, 2016 წელი;

❖ შშმ პირების უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიება დავით აღმაშენებლის აკადემიაში - 15 ივნისი, 2016 წელი;

❖ საერთაშორისო ტურიზმის კონფერენცია "თბილისი - შეხვედრების ადგილი" - 15 აპრილი, 2016 წელი;

❖ თბილისში ახალაშენებულ კორპუსში 25 დევნილი ოჯახისათვის ბინების გადაცემა - 28 მარტი, 2016 წელი;

❖ საქართველოს პროფესიული გაერთიანების საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაცია - 28 დეკემბერი, 2015 წელი;

❖ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში შუალედური ანგარიშის წარდგენა - 24 ნოემბერი, 2015 წელი;

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მიწვევით, ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ოფიციალური მიღება - 15 ნოემბერი, 2015 წელი;

- თბილისის საკრებულოში გამართულ და ინიცირებულ ღონისძიებებში მონაწილეობა:

  - კონფერენციას „თბილისის გარდაქმნა შემოქმედებით ცენტრად'' - 29 სექტემბრი, 2016 წელი;
  - სამუშაო შეხვედრა საკრებულოში სახალხო დამცველის ოფისისა და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენელებთან - 22 სექტემბრი, 2016 წელი;
  - 13 ივნისის სტიქიის დროს დაღუპულთა ხსოვნისათვის პატივის მიგება - 13 ივნისი, 2016 წელი;
  - ქართველი აკადემიკოსი ქალების მზექალა შანიძის, ეთერ ქემერტელიძისა და ნანა ხაზარაძის საპატიო სიგელებით დაჯილდოვება - 31 მაისი, 2016 წელი;
  - ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის, წმინდა გიორგის ოქროს ორდენის კავალერის მზია ხეთაგურის საიუბილეო ღონისძიება - 18 მაისი, 2016 წელი;
  - თასების მფლობელთა თასის გამარჯვების 35 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიება საკრებულოში - 14 მაისი, 2016 წელი;
  - შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი პროექტის ,,გადავწეროთ ვეფხისტყაოსანი" პრეზენტაცია - 15 აპრილი, 2016 წელი;
  - საკრებულოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა - 29 იანვარი, 2016 წელი;
  - თბილისის მეტროს 50 წლის იუბილე - 28 იანვარი, 2016 წელი;
  - გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 17 ნოემბერი, 2015 წელი;
  - ტოლერანტობის საერთაშორისო დრისადმი მიძღვნილი ღონისძიება საკრებულოში - 16 ნოემბერი, 2015 წელი;
  - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გენდერული სტატისტიკური პუბლიკაციის პრეზენტაცია - 4 ნოემბერი, 2015 წელი;
  - ბერი გაბრიელის ხსენების დღესთან დაკავშირებით სახალხო დღესასწაული ისნის რაიონში - 3 ნოემბერი, 2016 წელი;

- სამაჟორიტარო ოლქში გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობა:

  - ორხევის დასახლებაში მდებარე კომპანია „მილკო ფუდში" სტუმრობა - 22 ივლისი, 2016 წელი;
  - დიდი ლილოს საფეხბურთო გუნდი ,,იბერიას" ფეხბურთელების დაჯილდოება - 29 ივნისი, 2016 წელი;
  - ნასაგურის საბავშვო ბაღში გამოსაშვები ღონისძიება - 18 ივნისი, 2016 წელი;
  - ორხევის დასახლებაში მდებარე №76 საბავშვო ბაღში გამოსაშვები ღონისძიება - 13 ივნისი;
  - აეროპორტის სკოლაში გამართული ღონისძიება - 15 ივნისი, 2016 წელი;
  - ნასაგურის წმინდა გიორგის სახელობის ახალაშენებულ ტაძარში, გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებული ღამისთევის წირვა - ლოცვა - 6 მაისი, 2016 წელი;
  - დიდ ლილოში, წმინდა გიორგის სახელობის ახალი ეკლესიის კურთხევა - 4 მაისი, 2016 წელი;
  - წინუბნის საჯარო სკოლაში გამართული ღონისძიება - 28 აპრილი, 2016 წელი;
  - სამგორის რაიონის გამგეობაში გამართული ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 9 მარტი, 2016 წელი;
  - აეროპორტის დასახლებაში #75 საჯარო სკოლაში გამართული ღონისძიება ,,შემოდგომის ზეიმი" – 7 დეკემბერი, 2015 წელი;
  - ნასაგურის დასახლებაში წმინდა გიორგის სახელობის ახალი ტაძრის კურთხევა და ოლიმპიური ჩემპიონის ონისე სანებლიძის მონახულება - 23 ნოემბერი, 2015 წელი;
  - სამგორის რაიონის 42 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება - 8 ნოემბერი, 2015 წელი;

- სამაჟორიტარო ოლქში ჩატარებული ღონისძიებები სადეპუტატო უფლებამოსილების ფარგლებში:

  - სამაჟორიტარო ოლქში მდებარე საბავშვო ბაღების (რვა საბავშვო ბაღი) მონიტორინგი - 28 სექტემბერი - 5 ოქტომბერი, 2016 წელი;

- ლილოს დასახლებაში მეფრინველეობის ქუჩისა და მე-11, მე-12, მე-13, მე-14 კორპუსების მოსახლეობასთან შეხვედრა - 27 აგვისტო, 2016 წელი;
- შეხვედრა ქვემო ალექსეევკის საინიციატივო ჯგუფის წევრებთან სპორტული დარბაზის მოწყობის საკითხთან დაკავშირებით - 27 აგვისტო, 2016 წელი;
- GWP-ს წარმომადგენლებთან ერთად ნასაგურის და ორხევის მაცხოვრებლებთან შეხვედრა - 25 აგვისტო, 2016 წელი;
- GWP-ს წარმომადგენლებთან ერთად წინუბნის მაცხოვრებლებთან შეხვედრა - 25 აგვისტო, 2016 წელი;
- დიდი ლილოს მაცხოვრებლებთან შეხვედრა, დედაქალაქის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მიაწოდება - 24 აგვისტო, 2016 წელი;
- ნასაგურში, დუშეთის ქუჩის მოსახლეობასთან შეხვედრა სარწყავი სისტემის ცენტრალური მაგისტრალის მწყობრიდან გამოსვლასთან დაკავშირებით - 20 აგვისტო, 2016 წელი;
- ქიზიყის ქუჩა #32-ში მცხოვრებ მოსახლეობასთან შეხვედრა - 20 აგვისტო, 2016 წელი;
- სამუშაო შეხვედრა საკრებულოში, სამაჟორიტარო ოლქში მიკროავტობუსების ახალი ხაზების მოძრაობის საკითხთან დაკავშირებით - 28 ივლისი, 2016 წელი;
- ორხევის დასახლებაში წყლის მიწოდების აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობის ადგილზე გაცნობა - 20 ივლისი, 2016 წელი;
- სამუშაო შეხვედრა სამაჟორიტარო ოლქში ტრანსპორტის საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ, აეროპორტის მიმართულებით მოძრავი №37 ავტობუსის 24 საათიანი მომსახურეობის შესახებ- 5 ივლისი, 2016 წელი;
- წინუბანში საბავშვო ბაღის აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების დათვალიერება - 30 ივნისი, 2016 წელი;
- დიდი ლილოს საფეხბურთო გუნდი ,,იბერიას" ფეხბურთელების დაჯილდოების ცერემონიალი - 29 ივნისი, 2016 წლის;
- სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, აქცია, ოფისის თანამშრომლებთან ერთად - 25 ივნისი, 2016 წელი;
- ინფრასტრუქტურული ღონისძიებების გაცნობა - ჭირნახულის ქუჩის რეაბილიტაცია, ვარკეთილის მეურნეობის ცენტრალური საკანალიზაციო ქსელი შეცვლა - 20 ივნისი, 2016 წელი;
- ნასაგურის საბავშვო ბაღში მიმდინარე ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების ადგილზე გაცნობა - 18 ივნისი, 2016 წელი;

- ნასაგურში და ლილოს დასახლებაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი წიკლაურების და ბაკურაძეების მრავალშვილიანი ოჯახების მონახულება - 7 მაისი, 2016 წელი;
- რაიონის გამგებელთან ერთად სამაჟორიტარო ოლქის რამოდენიმე უბანში ადგილზე გასვლა - 1 ივნისი;
- სამაჟორიტარო ოლქში, წინუბნის დასახლებაში მერი მდივნის, ხევსურეთის და სხვა ქუჩების მდგომარეობის გაცნობა - 2 აპრილი, 2016 წელი;
- პატარა ლილოს დასახლებაში მისასვლელი გზის კაპიტალური სამუშაოების დათვალიერება - 28 მარტი, 2016 წელი;
- ვარკეთილის დასახლებიდან თბილისის ზღვისკენ გასასვლელი შემოვლითი გზის სამუშაოების ადგილზე გაცნობა - 4 მარტი, 2016 წელი;
- ჭირნახულის ქუჩაზე გზის მოასფალტება/მოწესრიგების სამუშაოების დათვალიერება - 18 თებერვალი, 2016 წელი;
- სამაჟორიტარო ოლქში დიდთოვლობით გამოწვეული პრობლემების ადგილზე გაცნობა - 25 იანვარი, 2016 წელი.

➢ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა:

- ქალთა საბჭოს ორგანიზებით, საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწე ქალთა საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრა - 29 ივლისი, 2016 წელი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინიციატივით, ლტოლვილთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 21 ივნისი, 2016 წელი;
- საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) ორგანიზებით, საქველმოქმედო აქცია-კონცერტი „ვეხმარებით ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს" – 22 მაისი, 2016 წელი;
- საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (სპმთპ) ორგანიზებით, საქართველოს კანონმდებლობაში,,მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის კანონმდებლობაში განსაზღვრის შესახებ" კანონპროექტის პრეზენტაცია - 1 მარტი, 2016 წელი;
- საქართველოს პარლამენტის ორგანიზებით ტუბერკულოზის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გამართული კონფერენცია - 24 მარტი, 2016 წელი;

- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაგეგმილი საჯარო დებატები სახელმწიფო უნივერსიტეტში, თემა: „უსახლკარობა-რა ხედვა აქვს სახელმწიფოს?" – 3 თებერვალი, 2016 წელი;

- საქართველოს სახალხო დამცველის აპატარის მიერ ორგანიზებული ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვილი ღონისძიება - 27 იანვარი, 2016 წელი;

- თბილისი მერიის ინიციატივით ,,განსაკუთრებული ჟურნალის" 2015 წლის ბოლო ნომრის პრეზენტაცია, შშმ პირთა დაცვის დღესთან დაკავშირებით - 3 დეკემბერი, 2015 წელი;

- საადვოკაციო კამპანიის ფარგლებში გამართული პრესკონფერენცია - მრგვალი მაგიდა ,,ჰუმანური ნარკოპოლიტიკა-ხელმისაწვდომი ჯანდაცვა" – 10 ნოემბერი, 2015 წელი;

- თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მათ მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა:

- საქართველოს სახალხო დამცველისა და დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის მიწვევით საერთაშორისო კონფერენცია - ,,ბიზნესი და ადამიანის უფლებები, საქართველოს გამოწვევები და პერსპექტივები" – 31 ოქტომბერი - 1 ნოემბერი, 2016 წელი;

- ოქსფამის წარმომადგენლობა საქართველოში მიწვევით ,,სასურსათო უსაფრთხოება და ჯანსაღ სურსათზე ხელმისაწვდომობა" გასვლითი სამუშაო შეხვედრა - 4 ივლისი, 2016 წელი;

- გარემოსა და ბინებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიწვევით, საერთაშორისო კონფერენცია (მინისტერიალი) - ,,გარემო ევროპისათვის" ბათუმი - 9 ივნისი, 2016 წელი;

- შვედეთის ელჩის საქართველოში მარტინა ქვიქის მიწვევით, შვედეთის გარემოს დაცვისადმი მიძღვნილი დღეების გახსნა, ბათუმი - 8 ივნისი, 2016 წელი;

- საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ორგანიზებით, ქალებისთვის ეკონომიკური პროგრამის შემუშავებისადმი მიძღვნილი კონფერენცია - 31 მაისი, 2016 წელი;

- არასამთავრობო ორგანიზაცია,,უმუშევართა კავშირი დასაქმებისათვის" მიწვევით პროექტის ,,უსახლკაროების სოციალური მხარდაჭერა" პრეზენტაცია - 1 აპრილი, 2016 წელი;

- ქალთა საინფორმაციო ცენტრის პროექტის „გენდერული სამართლიანობის ხელშეწყობა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების გზით" შემაჯამებელი ღონისძიება - 31 მარტი, 2016 წელი;

- სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის სამუშაო შეხვედრა "სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმის" შესრულების ანგარიშის პრეზენტაცია - 19 მარტი, 2016 წელი;

- შვედეთის საელჩოსა და NDI-ს მიერ ორგანიზებული, საქართველოს საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის მესამე კონფერენცია - „გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად" – 9 თებერვალი, 2016 წელი;

- NDI-ს მიერ ორგანიზებული, საქართველოს საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმი - „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის" დახურვის ღონისძიება - 22 იანვარი, 2016 წელი;

- საკრებულოს წევრის ინიციატივით განხორციელებული ღონისძიებები:

  - დალი მაზმიშვილის წიგნის ,,იმედით ძლეული უიმედობა" პრეზენტაცია საკრებულოში - 25 ოქტომბერი, 2016 წელი;
  - დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე მომუშავე ჯგუფის წევრებთან ერთად შემოერთებული ტერიტორიების ჩამოვლა - 5-7 ივლისი, 2016 წელი;
  - სამაჟორიტარო ოფისში თბილისის განვითარების გენერალური გეგმის პრეზენტაცია - 27 ივნისი, 2016 წელი;
  - პანკისის უხუცეს ქალთა საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრა - 31 მაისი, 2016 წელი;
  - სამაჟორიტარო ოლქის წარჩინებული მოსწავლეებისთვის შემეცნებითი-გასართობი ტური საკრებულოში, საქართველოს პარლამენტსა და უზენაეს სასამართლოში - 25 მაისი, 2016 წელი;
  - ქართველი აკადემიკოსი ქალების მზექალა შანიძის, ეთერ ქემერტელიძისა და ნანა ხაზარაძის საპატიო სიგელებით დაჯილდოვება - 31 მაისი, 2016 წელი;

- საპატიო თბილისელის ლამარა აბაშმაძის მონახულება - 27 მაისი, 2016 წელი;
- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით გამართული ტრენინგი -„გენდერული თანასწორობა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა" – 23 მაისი, 2016 წელი;
- სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის ღონისძიება „კარფურის" გასართობ ცენტრში - 27 აპრილი, 2016 წელი;
- ცხინვალის რეგიონიდან დევნილი და თბილისის №51-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის შემეცნებით-გასართობი ტური საკრებულოში, საქართველოს პარლამენტში, ეროვნულ ბიბლიოთეკასა და უზენაეს სასამართლოში -30 მარტი, 2016 წელი;
- დ.აღმაშენებლის აკადემიის რექტორის ნანა ჯიქიასა და გულიკო ზუმბაძის ინიციატივით 11 წლის შშმ ბავშვისთვის საახალწლოდ პორტატული კომპიუტერის გადაცემა - 30 დეკემბერი, 2016 წელი;
- ვარკეთილის მეურნეობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია - 25 ნოემბერი, 2015 წელი;
- ტოლერანტობის დღესთან დაკავშირებით სამედიცინო გამოკვლევების ჩატარება სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეებისათვის - 16 ნოემბერი, 2015 წელი;
- გამწვანების აქცია ლილოს დასახლებაში - 14 ნოემბერი, 2015 წელი;

➢ სამაჟორიტარო ოლქის ტერიტორიაზე ახალი ობიექტების გახსნაში მონაწილეობის მიღება:

- სამგორის რაიონში „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" განახლებული სერვის ცენტრის გახსნა - 17 ივნისი, 2016 წელი;
- „ლილო მოლი"-ს 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება და ახალი ობიექტების გახსნა (გაიხსნა ტელევიზია „ლილო-ტვ", განახლდა „ლილო მოლის" ვებ-გვერდი, ამოქმედდა ახალი ავტოსადგური („ლილო ჩარტერი") – 19 მაისი, 2016 წელი;
- მოსკოვის გამზირზე მდებარე ახალაშენებული 128-ე საბავშვო ბაგა-ბაღი გახსნა - 11 იანვარი, 2016 წელი.

➢ ბრიფინგები,პრესკონფერენციები, სატელევიზიო ეთერები და ა.შ.:

- ❖ პრესკონფერენცია - პორტალი ,,კვირას" პრესკლუბი - თემა: დედაქალაქის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე განხორციელებული და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ და სხვა - 21 ოქტომბერი, 2016 წელი;
- ❖ ბრიფინგი საკრებულოში - წინუბნის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე დასაქმებული მუშების შრომითი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით - 27 ივლისი, 2016 წელი;
- ❖ პრესკონფერენცია - პორტალი ,,კვირას" პრესკლუბი - თემები: დედაქალაქის მერიაში საკადრო ცვლილებები; ტრანსპორტის პრობლემა; დედაქალაქის ნარჩენების პოლიგონი - 20 ივლისი, 2016 წელი;
- ❖ პირველი არხის გადაცემა ,,თავისუფალი ტრიბუნა" - მიმდინარე საკითხები- 1 ივლისი, 2016 წელი;
- ❖ ბრიფინგი საკრებულოში - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სამოციქულო, ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემასთან დაკავშირებით - 27 ივნისი, 2016 წელი;
- ❖ რადიო ,,თავისუფლება" (FM 107.4).
  თემა:გენდერული თანასწორობა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა - 3 ივნისი, 2016 წელი;
- ❖ საზოგადოებრივი რადიო (FM 102.4) გადაცემა ,,ღია სტუდია" - მიმდინარე საკითხები - 27 მაისი, 2016 წელი;
- ❖ პრესკონფერენცია – პორტალ "კვირას" პრესკლუბი – 24 მაისი, 2016 წელი;
- ❖ პრესკონფერენცია პორტალ "კვირას" პრესკლუბიში თბილისის ბაგა-ბაღებში არსებული ვითარების შესახებ - 24 მარტი, 2016 წელი;
- ❖ ბრიფინგი საკრებულოში დიდი ლილოს მოსახლეობის საინიციატივო ჯგუფთან ერთად ნაგავსაყრელთან დაკავშირებით - 18 მარტი, 2016 წელი;
- ❖ ბრიფინგი საკრებულოში პატარა ლილოში მდებარე საბავშვო ბაღში შექმნილ მდგომარეობას დაკავშირებით - 16 მარტი, 2016 წელი;

- გადაცემაში ,,პიკის საათი",
  თემა: ,,საბინაო პრობლემები დედაქალაქში და სახალხო დამცველის რეკომენდაციები" -12 მარტი, 2016 წელი;
- პირველი არხის ეთერში, გადაცემაში ,,რეალური სივრცე", თემა: საბინაო პრობლემები დედაქალაქში - 8 მარტი, 2016 წელი;
- პრესკონფერენცია, კვირის პრეს - კლუბი - თემა: 2016 წლის ბიუჯეტი.

სამომავლო გეგმები

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული მიმართულებები

1. საცხოვრისის ხელმისაწვდომობა, მათ შორის: სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების დაკანონება, სხვა ალტერნატიული საცხოვრებლის არმქონე ფაქტობრივი მფლობელებისა და მოსარგებლეებისათვის;

2. მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზების ხელშეწყობა;

3. დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მოწესრიგება/კონსერვაცია; ალტერნატიული პროექტის (უსაფრთხო ნაგავგადამამუშავებელი საწარმო) განხორციელება.

4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა;

5. ეთნიკური უმცირესობების წინაშე არსებული პრობლემების გაანალიზება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

6. მუშაობა სკოლამდელი აღზრდის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით;

7. პირველადი ჯანდაცვის ობიექტების ხელმისაწვდომობის პრობლემაზე ცენტრალურ ხელისუფლებასთან კომუნიკაცია და კონკრეტული ღონისძიებების გატარება;

8. თბილისში არსებული კერძო ტაქსების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემები და ადამიანის უფლებები;

9. შრომითი უფლებები;

10. ფეხით მოსიარულეთა უფლებები;

11. მოსახლეობის სოციალური და კულტურული უფლებები;

12. თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

13. კომუნიკაცია საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან და მათი დახმარებით ევროპული ქვეყნების თვითმმართველი ქალაქების გამოცდილების გაზიარება კომისიის პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით;

14. დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა - მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ანგვარიშვალდებულების განხორციელების უზრუნველყოფა ხელისუფლების ყველა დონეზე.

დამატებითი ინფორმაცია:

- გამოიცა მაჟორიტარი დეპუტატის გულიკო ზუმბაძის ,,საანგარიშო უწყება" გაზეთის სახით, რომელიც დაურიგდა სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ მოქალაქეებს.

  ,,საანგარიშო უწყების" გამოცემის მიზანია ხელი შეუწყოს სამაჟორიტარო ოლქის მოსახლეობის ინფორმირებულობას საკრებულოს მაჟორიტარი წევრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ.

- საანგარიშო მოსმენა გაიმართა ა. წ. 27 ოქტომბერს, დეპუტატის სამაჟორიტარო ოფისში, მისამართზე: ორხევი, ჩანტლაძის ქ. #1, 18:30 სთ

- საანგარიშო მოსმენები ეტაპობრივად გაგრძელდება სამაჟორიტარო ოლქის დასახლებების მიხედვით, მიმდინარე წლის ბოლომდე.

- შეხვედრების პროცესში, სამაჟორიტარო ოლქის ტერიტორიის მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ.

პატივისცემით,

საკრებულოს წევრი

გულიკო ზუმბაძე